ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:**ო65. 6522292001**
თარიღი:**19/10/2022**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 11

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 13. 10. 2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გრიგოლ მატარაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, გელა ჩიკვაიძე, ბიჭიკო პაიკიძე, გიორგი ტყეშელაშვილი, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე,

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -

ლუიზა ჯოგლიძე;

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე;**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი **-ვანდა გიორგაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **-მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2.,,საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

მომხს: გელა ჩიკვაიძე

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ."

მომხს. ვანდა გიორგაძე.

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე."

მომხს. ზვიად კაპანაძე

5.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. მუქედში მდებარე 4816 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების ს/კ 31.15.21.344) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებიდან 195 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გამოყოფის და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

მომხს.ზვიად კაპანაძე

6.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, რიგ ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში განთავსებული ფართების ნაწილის და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

მომხს.ზვიად კაპანაძე

7.„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის გ-65.65221035 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომახს. მამუკა ნამიჭეიშვილი.

8.,,ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13/04/2022 წლის გ-65.221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხს. მამუკა ნამიჭეიშვილი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:
დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. კერძოდ, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 50,0 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 18337,8 ათასი ლარით, გადასახდელები 21316,6 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ლარის რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე-23

წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ..,,ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

დადგენილება N 20

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ (გელა ჩიკვაიძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ" განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 30 სექტემბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სექტემბრის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

განკარგულება N გ-65.6522286001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შ.პ.ს ,,მიმდემი“-სთან მუნიციპალიტეტის სახელით 2022 წლის 14 სექტემბერს დადებული N152 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2022 წლის 09 აგვისტოს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შედეგად, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და გაფორმდა ხელშეკრულება:

1.ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო და საუბნო გზების რეაბილიტაცია- მჟავანაძეების უბნის საავტომობილო - 328292 ლარი
2. ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. ქ. ვანის ჩახუნაშვილის ქუჩიდან ზედავანის ცენტრის მიმართულებით საავტომობილო გზა-213159 ლარი.
3. სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-ბოკნოს უბანში ჯვარისერის სასაფლაომდე-322428 ლარი
4. გორას ადმინისტრაციულ ერთეულში, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია-გიორგაძე გაბუნიების უბნის საავტომობილო გზა. --177826 ლარი
5. ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში-კუშუბოურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-321943 ლარი
6. სალხინოს ადმინისტრაციულ ერთულში ვანი სულორის საავტომობილო გზიდან ჯანელიძეების უბნის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-229604 ლარი

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 593 252 ლარს. გამარჯვებული კომპანია შპს მიმდემი. სამუშაოების დასრულების ვადა 13 ნოემბერი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის

მერიის მიერ შ.პ.ს ,,მიმდემი"-სთან მუნიციპალიტეტის სახელით 2022 წლის 14 სექტემბერს დადებული N152 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე".

განკარგულება N გ-65.65222862

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსნებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა:

1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 13998 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.250), საწყისი საპრივატიზებო საფასური 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარი;
2 .ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 7579 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.293), საწყისი საპრივატიზებო საფასური 7580 (შვიდი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარი;
3. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 24457 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.303), საწყისი საპრივატიზებო საფასური 24460 (ოცდაოთხი ათას ოთხას სამოცი) ლარი;
4.ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 2000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.335), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2000 (ორი ათასი) ლარი;
5. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 8900 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.334), საწყისი საპრივატიზებო საფასური 8900 (რვა ათას ცხრაასი) ლარი;
6. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 9449 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.241), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9450 (ცხრა ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი,

7. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 12611 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.294), საწყისი საპრივატიზებო საფასური 12610 (თორმეტი ათას ექვსას ათი) ლარი;

8. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 6652 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.251), საწყისი საპრივატიზებო საფასური 6650 (ექვსი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი;

9. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 797 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.561), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი;

10.ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 575 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.273), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9200 (ცხრა ათას ორასი) ლარი;

11. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 1846 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.274), საწყისი საპრივატიზებო საფასური 27300 (ოცდაშვიდი ათას სამასი) ლარი;

12. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 100 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.615), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;

13. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 253 კვმ არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.616), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2530 (ორი ათას ხუთას ოცდაათი) ლარი;
14. ქ. ვანში, თამარ მეფის ჭუჩის მეორე შესახვევში მდებარე 28 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.30.967), საწყისი საპრივატიზებო საფასური 420 (ოთხას ოცი) ლარი;
15. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმურში მდებარე 420 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა (ს/კ 31.05.23.063), საწყისი საპრივატიზებო საფასური 10800 (ათი ათას რვაასი) ლარი.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

განკარგულება N გ-65.65222863

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი კაპანაძემ წაროადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. მუქედში მდებარე 4816 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების ს/კ 31.15.21.344) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებიდან 195 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გამოყოფის და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შენობა ნაგებობის გადაცემა სახელმწიფოსთვის ხდება საექიმო ამბულატორიის გაკეთებისთვის.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. მუქედში მდებარე 4816 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების ს/კ 31.15.21.344) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებიდან 195 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გამოყოფის და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

განკარგულება N გ-65.65222864

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი კაპანაძემ წაროადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის

მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, რიგ ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში განთავსებული ფართების ნაწილის და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი ობიექტების გადაცემა სახელწიფოსთვის ხდება საექიმო ამბულატორიების გასაკეთებლად. ეს ობიექტებია:

1.სოფელ უხუთში -17.64 კვ.მ ფართი, 2. სოფელი ფერეთა-31.4კვ.მ ფართი, 3.სოფელი შუამთა-113.66 კვ.მ, 4. სოფელი ტობანიერი-42.23 კვ.მ, 5. სოფელი ძულუხი-15.4კვ.მ, 6. სოფელი სულორი-53.6. კვ.მ, 7. სოფელი სალხინო-54.4კვ.მ, 8. სოფელი სალომინაო -35.1 კვ.მ, 9. სოფელი ყუმური -32.43. კვ.მ, 10.სოფელი ზედა ვანი-37.28.კვ.მ, 11. სოფელი დიხაშხო-17.87.კვ.მ, 12. სოფელი მთისძირი-23.37კვ.მ,

13. სოფელი გადიდი -14.48.კვ.მ, 14 სოფელი ბზვანი- 47.9 კვ.მ .

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, რიგ ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში განთავსებული ფართების ნაწილის და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

განკარგულება N გ-65.65222865

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის გ-65.65221035 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 13 აპრილის N გ-65.65221035 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და დაემატა შემდეგი პროექტები:

1.დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასაუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია:
ა). შენგელიების უბანი (ჰესის სათავე ნაგებობასთან ჩასასვლელი). თანხით 120,000 ლარი.

2. ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (არველაძეების უბანი) თანხით 315,000 ლარი.

3. სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასაუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია:
ა). სანიკიძეების უბანი-

ბ). როხი სალომინაოს-შუაგორა სალომინაოს საავტომობილო გზების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. თანხით 3567,200 ლარი.

4. შუამთა-მთისძირის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (გალაკტიონ ტაბიძის სახლმუზეუნიდან) თანხით 380.000 ლარი.

5. ძულუხის ადმინისტრაციულ ერთეულში გოგიბერიძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 160.000 ლარი.

6. შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში აჭარლების დასახლების მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 300,000 ლარი.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის გ-65.65221035 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულება N 65.65222867

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13/04/2022 წლის გ-65.221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლებში: მაისოურის, ზედაეწერტობანიერის და შუამთის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით შერჩეული და 2022 წელს განსახორციელებელ პროექტებში საჭირო გახდა შეტანილიყო ცვლილებები, წარმოდგენილი სათანადოდ შედგენილი ოქმების და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. კერძოდ:

1.სოფ. მაისოურში 2021 წლის სოფლის პროგრამიდან მიღებული აქვს ეკონომია 2242 ლარი, რომელიც ემატება 2022 წელს გამოყოფილ თანხას.

2. სოფ. ზედაეწერტობანიერში 2021 წლის სოფლის პროგრამიდან მიღებული აქვს ეკონომია 6440 ლარი, აქედან 4979 ლარით აჭარლების უბანში განისაზღვრა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა და მოსახლეობამ გადაწყვიტა პროექტი შეწყვეტილიყო და თანხა გადადასულიყო ბურკაძეები-ძაძამიების უბნის პროექტში. ასევე ამ პროექტს ემატება სხვაობა 1461 ლარი და ბურკაძეები-ძაძამიების უბნის პროექტის ღირებულებამ სულ შეადგინა 16440 ლარი.

3.სოფ. შუმთა-ცენტრის კეთილმოწყობაზე წინასწარ განსაზღვრული იყო სავარაუდო ღირებულება 20 000 ლარი. პროექტის შედგენის შემდეგ სოფელში გამოიკვეთა პრობლემური საკითხი, მეთორმეტე და მეთექვსმეტე ქუჩებზე ნატანით შევსებული სანიაღვრე არხებიდან გადმოსული ნიაღვრით დაიტბორა

მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები, აუცილებლობიდან გამომდინარე მოსახლეობამ მიიღო გადაწყვეტილება და ცენტრის კეთილმოწყობის პროექტის ღირებულება შეამცირა 6850 ლარით და აღნიშნული თანხით დაამატეს ახალი პროექტი აღნიშნულ ქუჩებზე „სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია„.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13/04/2022 წლის გ-65.221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულება N 65.65222866

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი